International Journal of Social Sciences

Caucasus International University
Volume 6, Issue 1

Journal homepage: http://journal.ciu.edu.ge/

DOI: https://doi.org/10.55367/KRTY4852

Third Parties in Administrative Procedural Law

Ketevan Tsintsadze [a1]

[a] Assistant Professor, Georgian Technical University
PHD Student of CIU

ARTICLE INFO

Keywords:

Third party of mandatory involvement
Third party of ordinary involvement
Principle of inquisition
Right to appeal a decision
Interim measures

ABSTRACT

The present article is devoted to determining the legal nature and essence of a third party, to what grounds the establishment of the institution of a third party is related.

The article discusses the types of third parties in the administrative process, their rights, and their common and distinctive features with third parties defined by civil procedural legislation.

The article pays special attention to a number of problematic issues arising in judicial practice, including the peculiarities of involving third parties in the administrative process, the right of ordinary third parties to appeal decisions, the issue of the possibility of using an interim measure by claimants in relation to third parties, etc.

The area of interest of the mentioned article is an in-depth study of the legislation of both Georgian and foreign countries, as well as judicial practice, which is important both from a scientific and a practical point of view.

[1] Corresponding author.
E-mail addresses: kate_tsintsadze@yahoo.com (K.Tsintsadze).
ORCID: https://orcid.org/0009-0003-0615-0448

მესამე პირები ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალში

ქეთევან ცინცაძე[a][2]

[a] ასისტენტ-პროფესორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
CIU-ს დოქტორანტი

სტატიის შესახებ

საკვანძო სიტყვები:

სავალდებულო მიწვევის მესამე პირი
ჩვეულებრივი მიწვევის მესამე პირი
ინკვიზიციურობის პრინციპი
გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატია ეძღვნება მესამე პირის სამართლებრივი ბუნების და არსის დადგენას, იმას თუ რა საფუძვლებთან არის დაკავშირებული მესამე პირის ინსტიტუტის ჩამოყალიბება.

სტატიაში მოკლედ არის განხილული ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა სახეები, მათი უფლებები და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულ მესამე პირებთან მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშნები.

სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სასამართლო პრაქტიკაში წარმოშობილ რიგ პრობლემურ საკითხებს, მათ შორის, მესამე პირების ადმინისტრაციულ პროცესში ჩაბმის თავისებურებებს, ჩვეულებრივი მიწვევის მესამე პირების მიერ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების უფლებას, მესამე პირებთან მიმართებაში სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობის საკითხს.

აღნიშნული სტატიის ინტერესის სფეროს წარმოადგენს, როგორც ქართული, ისე უცხო ქვეყნების კანონმდებლობის, ასევე სასამართლო პრაქტიკის შესწავლა, რაც მნიშვნელოვანია როგორც სამეცნიერო, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით.

[2] ავტორი კორესპონდენტი.
ელექტრონული ფოსტა: kate_tsintsadze@yahoo.com (ქ.ცინცაძე).
ORCID: https://orcid.org/0009-0003-0615-0448

1. შესავალი

საქართველოს უზენაესი კანონის - საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებათა რიგს სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება განეკუთვნება, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით არის გარანტირებული. აღნიშნული ნორმის თანახმად, „ყოველ ადამიანს უფლება აქვს, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“ (საქართველოს კონსტიტუცია; 1995). საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის შინაარსი, თავის მხრივ, ასახულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველ ნაწილში, რომლის შესაბამისადაც „ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა“ (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი; 1997). იდენტური შინაარსის დათქმას შეიცავს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლიც, რომლის მიხედვით „ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით პირდაპირ მიმართოს სასამართლოს“ („საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი; 2009). სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება დემოკრატიული სახელმწიფოს ფუძემდებლური პრინციპია და მის არსზე და მნიშვნელობაზე არაერთხელ იმსჯელა, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო; 2013), ისე უზენაესმა სასამართლომ (საქართველოს უზენაესი სასამართლო; 2013; 2015).

ამასთან, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის“ მე-6 მუხლი (სამართლიანი სასამართლოს უფლება) პირველი პუნქტით ადგენს, რომ „სამოქალაქო უფლებათა და მოვალეობათა განსაზღვრისას ყველას აქვს, გონივრულ ვადაში, მისი საქმის, სამართლიანი და საქვეყნო განხილვის უფლება კანონის საფუძველზე შექმნილი, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ“ (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია; 1950).

ამდენად, თითოეული ზემოაღნიშნული ნორმა განამტკიცებს პირის უფლებას, სრულყოფილად და ჯეროვნად ჩაერთოს და მიიღოს მონაწილეობა ყველა იმ მიმდინარე სამართალწარმოებაში, რომელიც მის კანონიერ უფლებებს ან ინტერესებს შეეხება ან შესაძლოა პოტენციურად შეეხოს. შესაბამისად, ცალსახაა, რომ მესამე პირის ინსტიტუტი როგორც ადმინისტრაციული, ისე სამოქალაქო საპროცესო სამართლის მნიშვნელოვანი ინსტიტუტია.

მესამე პირის ინსტიტუტის არსისა და მისი მნიშვნელობის სრულყოფილად გაგების მიზნით აუცილებელია წარმოდგენა ვიქონიოთ თავად ამ ინსტიტუტის ჩამოყალიბების ისტორიულ წინაპირობებზე.

„მესამე პირის ინსტიტუტის ჩამოყალიბების მიზანს ძირითადად მესამე პირის სამართლებრივი ინტერესების დაცვა, საქმის ყოველმხრივი განხილვა, ადმინისტრაციული პროცესის ეკონომიურობის შენარჩუნება და სამართლებრივი უზრუნველყოფა წარმოადგენდა“ (კოპალეიშვილი et al. 2008).

საინტერესოა ის ფაქტი, რომ „პირველად მესამე პირთა ინსტიტუტის შინაარსის ფორმულირება ბადენის 1864 წლის სააღსრულებო კანონის 48-ე მუხლში მოხდა. პირველი სასამართლო გადაწყვეტილება კი, რომელიც მესამე პირთა საქმეში ჩაბმის პრეცედენტს ითვალისწინებს 1876 წლით თარიღდება და იგი მიღებულია პრუსიის უმაღლესი სასამართლოს მიერ“ (კოპალეიშვილი et al. 2008).

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამოქალაქო სამართლის პროცესისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციულ სასამართლოს მიეცა შესაძლებლობა თავისი ინიციატივით საქმეში სავალდებულო წესით მოეწვია მესამე პირები, რომელთა ინტერესსაც შეიძლება შეხებოდა სასამართლო გადაწყვეტილება. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ,,სასამართლო უფლებამოსილია აცნობოს პირს, რომლის ინტერესებსაც შეიძლება შეეხოს სასამართლოს გადაწყვეტილება, ადმინისტრაციული პროცესის დაწყების შესახებ და ჩააბას იგი საქმეში მესამე პირად” (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი; 1999). როგორც აღნიშნული მუხლის ფორმულირებიდან ჩანს, ქართველი კანონმდებელი არ აკონკრეტებს ინტერესის შინაარსს, უბრალოდ განსაზღვრავს, რომ მესამე პირი შეიძლება მოწვეულ იქნეს სასამართლოში საქმის განხილვისას თუ ზოგადად მის ინტერესს შეეხება სასამართლოს გადაწყვეტილება. მიზანი ერთია, პირის სამართლებრივი ინტერესების დაცვა, შესაბამისად, ის უნდა მიწვეულ იქნეს სამართალწარმოებაში თუ საქმის საბოლოო შედეგი მის ინტერესზე რაიმე გავლენის მომხდენია.

მესამე პირის უფლებების სრულყოფილად დაცვა და მისი სამართალწარმოებაში კანონით დადგენილი წესით ჩართვა, საქმის განმხილველი სასამართლოს - უფლებამოსილებას, რიგ შემთხვევაში კი - ვალდებულებას წარმოადგენს. თეორიული თვალსაზრისით თითქოსდა სრულად რეგულირებული საკითხი, სასამართლო პრაქტიკაში ბევრი სამართლებრივი და პროცესუალური პრობლემის წინაშე დგება.

მოცემული სტატიის მიზანია ხაზი გაუსვას ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირის ინსტიტუტის მნიშვნელობას და გამოკვეთოს გარკვეული საკანონმდებლო ხარვეზები, რომლებიც თავს იჩენს პრაქტიკულ საქმიანობაში.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

პირველ რიგში, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამ დრომდე ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული მესამე პირის ინსტიტუტი დეტალურად და სიღრმისეულად არ შესწავლილა. სტატიაზე მუშაობის პროცესში განხორციელდა როგორც ქართული, ისე უცხოური ლიტერატურის სიღრმისეული შესწავლა, რომელიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ უკავშირდება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსითა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ მესამე პირებს.

აღნიშნულ კომენტარებსა თუ სახელმძღვანელოებში გამოკვლეულია თითოეული ნორმის წარმოშობის ისტორიული საფუძვლები, მიზეზები და მიზნები, როგორც ანგლოამერიკული, ისე კონტინენტურ-ევროპული სისტემის მქონე ქვეყნების მაგალითზე. განხილულია, თუ რა გავლენა მოახდინა, მესამე პირის ინსტიტუტის ჩამოყალიბებამ ეკონომიურობის პრინციპის დამკვიდრებაზე. სრულყოფილად არის ერთმანეთისაგან გამიჯნული მესამე პირის სახეები და მათი უფლება-მოვალეობები. თუმცა, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აღნიშნულ ლიტერატურაში ფაქტობრივად არ გვხვდება მესამე პირის ინსტიტუტთან დაკავშირებული მოსაზრებები შესაბამის ინსტიტუტში ხარვეზების არსებობასთან ან მათი გადაჭრის გზებთან მიმართებაში. იგივე შეიძლება ითქვას მესამე პირებთან მიმართებაში არსებულ სამეცნიერო სტატიებზე.

ამასთან, დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საკვლევ თემაზე არსებობს სადისერტაციო ნაშრომი „მესამე პირები სამოქალაქო პროცესში“ (ხარიტონაშვილი; 2018). აღნიშნული დისერტაცია, ძირითადად შეეხება სამოქალაქო პროცესის მესამე პირებს და შესაბამისად, ნაკლებად შეიცავს კვლევას ადმინისტრაციული პროცესის მესამე პირებთან მიმართებაში სასამართლო პრაქტიკაში არსებული ხარვეზებისა და გამოწვევების შესახებ.

ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის კუთხით, უშუალოდ მესამე პირთან მიმართებაში სასამართლო პრაქტიკა საკმაოდ მწირია, თუმცა მოძიებულ იქნა რამდენიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც უშუალოდ მესამე პირის უფლებებს შეეხება და საკითხი სწორედ მესამე პირის მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების არ არსებობის გამო სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას უკავშირდება.

რაც შეეხება, ქართულ სასამართლო პრაქტიკას უნდა აღინიშნოს, რომ მესამე პირთან მიმართებით სასამართლო პრაქტიკა საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანია, რის გამოც, შესაძლებელი გახდა არსებული საკანონმდებლო ხარვეზების და მათი გადაჭრის შესაძლო გზების იდენტიფიცირება.

3. გამოყენებული მასალები და მეთოდები

წინამდებარე სტატია ეყრდნობა როგორც ქართულ, ისე უცხო ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზს. კერძოდ: საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიისა და აშშ-ს კანონმდებლობის მიმოხილვას. სტატიაზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა ქართული და უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა, მოსაზრებები და მიდგომები საკვლევ საკითხთან დაკავშირებით; აგრეთვე საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთი გადაწყვეტილება და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სხვადასხვა მიწის უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილებები.

რაც შეეხება კვლევის მეთოდოლოგიას, საკითხის სრულყოფილი შესწავლის მიზნით, გამოყენებულ იქნა შემდეგი მეთოდები: ისტორიული, სისტემური, ფორმალურ-ლოგიკური და შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდები. სტატიაში წარმოდგენილ იქნა პრაქტიკაში არსებული პრობლემური საკითხები და მათი გადაჭრის შესაძლო გზები. კვლევის შედეგები გაამდიდრებს და სიახლეს შესძენს აღნიშნულ თემაზე შექმნილ სამეცნიერო ნაშრომებს. ჩატარებული კვლევა აკადემიურ და პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს და ხელს შეუწყობს სამართლის დარგით დაინტერესებულ სტუდენტებს ცოდნის გაღრმავებაში, ასევე საინტერესო იქნება ამ საკითხით დაინტერესებული სხვა პირებისათვის.

4. შედეგების განხილვა

4.1. მესამე პირები ადმინისტრაციული პროცესში და მათი თავისებურებანი

4.1.1. მხარეები და მესამე პირები

მხარეების ინსტიტუტს ადმინისტრაციულ პროცესში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. უშუალოდ მხარის ნებაზეა დამოკიდებული ადმინისტრაციული პროცესის დაწყება, მისი მიმდინარეობა და დასრულება. ადმინისტრაციული პროცესი მთლიანად აგებულია მხარეების აქტიურობაზე, მათ მონაწილეობასა და მათი პროცესის წარმართვის ნებაზე.

როგორც სამოქალაქო, ისე ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მონაწილეობს ორი მხარე - მოსარჩელე და მოპასუხე. ადმინისტრაციული პროცესის მონაწილეები, მხარეების გარდა, შესაძლოა იყვნენ მესამე პირები, მოწმეები, ექსპერტები და ა.შ. შესაბამისად, ადმინისტრაციულ პროცესში შეიძლება მონაწილეობდეს რამდენიმე სუბიექტი, თუმცა მხარე არის ყოველთვის ორი - მოსარჩელე და მოპასუხე. რაც შეეხება მესამე პირს, იგი არის პროცესის უნიკალური მონაწილე, რომელსაც სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება განესაზღვროს გარკვეული უფლებები და მოვალეობები.

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში სავალდებულო მიწვევის მესამე პირის სამართლებრივი პოზიცია უფრო მეტადაა დაახლოებული მთავარი მონაწილეების (მოსარჩელის ან მოპასუხის) სამართლებრივ პოზიციასთან. ის მიწვეული უნდა იქნეს ყველა სასამართლო სხდომაზე, მას უნდა გადაეგზავნოს ყველა დოკუმენტი და სასამართლოს მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება (განჩინება). მას უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებების გამოკვლევაში, გაეცნოს საქმის მასალებს, გამოიყენოს ყველა თავდასხმითი და თავდაცვითი საშუალება, გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილებები (განჩინებები). ამასთან, „სასამართლოს მხოლოდ მაშინ შეუძლია გადაწყვეტილების მიღება, როცა სავალდებულო მიწვევის მესამე პირს საშუალება მიეცემა, სამართლებრივი თვალსაზრისით გამოთქვას თავისი აზრი. სასამართლოს მიერ მხარეთა შორის მორიგების მიღწევის შემთხვევაში, ამ მორიგების დამტკიცება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ სავალდებულო მიწვევის მესამე პირიც განაცხადებს თანხმობას“ (ვაჩაძე et al. 2005). თუმცა აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მესამე პირები განსხვავებით მხარეებისაგან ერთვებიან უკვე დაწყებულ პროცესში და მათი სამართალწარმოებაში ჩართულობის სპეციფიური ხასიათიდან გამომდინარე, ისინი ვერ სარგებლობენ ისეთი უფლებებით, რომლებიც ექსკლუზიურად მხარეთა კომპეტენციას მიეკუთვნება. მაგალითად, მათ არ აქვთ ახალი სასარჩელო მოთხოვნის დაყენების ან შეგებებული სარჩელის წარდგენის უფლებამოსილება; მათ არ აქვთ სარჩელის ცნობის ან სარჩელზე უარის თქმის უფლებამოსილება, ასევე მეტად საინტერესოა მათი როლი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენებისა, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებამოსილების კონტექსტშიც.

საყურადღებოა ისიც, რომ ზოგჯერ სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება მოპასუხის მხარეზე მიწვეული სავალდებულო მესამე პირის სტატუსის არასწორი გაგება, როდესაც ქვედა ინსტანციის სასამართლო თავისი გადაწყვეტილების (განჩინების) სარეზოლუციო ნაწილით მოპასუხესთან ერთად სავალდებულო მიწვევის მესამე პირსაც აკისრებს პასუხისმგებლობას, მაშინ, როდესაც „სარჩელი მესამე პირისაკენ არ არის მიმართული და მოსარჩელეს მოპასუხედ იგი არ დაუსახელებია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლო; 2005). ასეთი რამ დაუშვებელია, რადგან სავალდებულო მიწვევის მესამე პირთან მიმართებაშიც კი სასამართლო გადაწყვეტილება (განჩინება) უშუალოდ მის მიმართ ვერ იქნება გამოტანილი, რადგან ის არ არის მოპასუხე და მის მიმართ რაიმე ვალდებულების დაკისრება პროცესუალურად დაუშვებელია.

4.1.2. ინკვიზიციურობის პრინციპი და მესამე პირები

სამართლის სხვა დარგების მსგავსად, ადმინისტრაციულმა სამართალმაც გაიზიარა ისეთი ფუნდამენტური პრინციპები, როგორიცაა კანონიერების, საჯაროობის, სახელმწიფო ენის, დისპოზიციურობის, შეჯიბრებითობის, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, დაჩქარებული სამართალწარმოებისა და მათ შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ინკვიზიციურობის პრინციპი. ინკვიზიციურობის პრინციპის თავისებურებების გათვალისწინებით, მოსამართლე უფლებამოსილია, რომ საკუთარი ინიციატივით მოიძიოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები.

ფრანგი ადმინისტრატივისტი გუი ბრებანი აღნიშნავდა, რომ „ადმინისტრაციული დავის გადაწყვეტისას მოსამართლე არ უნდა გავიდეს მომჩივნის არგუმენტაციის ფარგლებს გარეთ“ (Брэбан; 1988). რა თქმა უნდა, „მოსამართლე უნდა შემოიფარგლოს არსებული განცხადების, საჩივრის, შუამდგომლობის ფარგლებში და კატეგორიულად არ უნდა გასცდეს მას“ (ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“; 2005).

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ინკვიზიციურობის პრინციპის დანერგვა განპირობებულია იმით, რომ „ადმინისტრაციულ დავაში არსებობს საჯარო ინტერესი, რომელიც გავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღებაზე და ასეთ დროს მხოლოდ მხარეებს ვერ მივანდობთ საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი მტკიცებულებებისა და გარემოებების მოძიებას“ (საქართველოს უზენაესი სასამართლო; 2010).

ადმინისტრაციულ პროცესში სასამართლოს აქტიურ როლზე მიუთითებს ის გარემოებაც, რომ სასამართლო თვითონ წყვეტს მესამე პირთა მოწვევის საკითხს და ის არ არის შეზღუდული ამ საკითხზე მხარეთა მოსაზრებებით. „კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში სასამართლო ვალდებულია, ჩააბას მესამე პირი ადმინისტრაციულ პროცესში, თუ ის იმ სადავო სამართალურთიერთობის მონაწილეა, რომლის თაობაზეც სასამართლოს მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანა“ (საქართველოს უზენაესი სასამართლო; 2011).

4.1.3 მესამე პირები საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მესამე პირის ინსტიტუტი (დაინტერესებული მხარე/ჩართული პირი) აღიარებულია არა მხოლოდ რომანულ-გერმანული, არამედ პრეცედენტული სამართლის ქვეყნებში.

მესამე პირის ინსტიტუტის არსის და მისი მრავალფეროვნების გასააზრებლად, საინტერესოა მოკლედ მიმოვიხილოთ მესამე პირის სახეები და თავისებურებები სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, კერძოდ:

გერმანია

გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის (Verwaltungsgerichtsordnung) 65-ე პარაგრაფი ითვალისწინებს მესამე პირების ჩართვას მიმდინარე ადმინისტრაციულ პროცესში. „ჩართვის მიზანს წარმოადგენს საპროცესო მხარის სტატუსის არმქონე პირს მიეცეს პროცესში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა, თუ ადმინისტრაციულმა პროცესმა და მისმა მსვლელობამ თუ შედეგმა შეიძლება გავლენა იქონიოს მის კანონიერ ინტერესებზე“ (Prof. Dr. Czybulka et al. 2018).

„გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 65-ე პარაგრაფი განასხვავებს მარტივ ჩართვას პროცესში და აუცილებელ ჩართვას პროცესში. ამ უკანასკნელს გააჩნია შესაბამისი სპეციალური წინაპირობები“ (Prof. Dr. Wolff and Kintz, 2014) .

ა. მარტივი ჩართვა (Einfache Beiladung)

„ე.წ. პროცესში მარტივი ჩართვა 65-ე პარაგრაფის პირველი აბზაცის მიხედვით, გულისხმობს, რომ სამართლებრივი დავის გადაწყვეტა უნდა ეხებოდეს მესამე პირის ინტერესებს მოსარჩელესა თუ მოპასუხესთან მიმართებაში. ხსენებულ შემთხვევას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მესამე პირი ისეთ ურთიერთობაში არის პროცესის მხარეებთან ან დავის საგანთან, რომ დავის გადაწყვეტას შეუძლია მისი პოზიციებს გაუმჯობესება ან გაუარესება წინაპირობები“ (Prof. Dr. Wolff and Kintz, 2014). ამ თვალსაზრისით საკმარისია „ადმინისტრაციული პროცესის შედეგის გავლენა სამოქალაქო-სამართლებრივ პროცესზე, რომელიც მესამე პირის წინააღმდეგ შეიძლება გაიმართოს ან რომელიც მესამე პირმა შეიძლება წამოიწყოს“ (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ადმინისტრაციული სასამართლო; 2005).

ბ. აუცილებელი ჩართვა (Notwendige Beiladung)

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 65-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცის შესაბამისად, „მესამე პირები აუცილებლად უნდა იქნენ პროცესში ჩართულნი, თუ ისინი იმგვარად მონაწილეობენ სადავო სამართლებრივ ურთიერთობაში, რომ სასამართლოს მიერ მისაღები გადაწყვეტილება მათ მიმართაც მხოლოდ ერთიანად უნდა იყოს მიღებული“ (Prof. Dr. Wolff and Roland Kintz, 2014). აღნიშნული წინაპირობა სახეზეა, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიძლება ისე იქნეს მართლზომიერად მიღებული, რომ ამავდროულად არ მოხდეს მესამე პირების უფლებების უშუალოდ დარღვევა. „სასამართლო გადაწყვეტილების მიღება სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე უნდა იყოს მხოლოდ ერთიანი გადაწყვეტილების სახით შესაძლებელი “ (Kopp and

„პროცესში მესამე პირების აუცილებელი ჩართვის მიზანსაც წარმოადგენს მხოლოდ მესამე პირების უფლებების დაცვა და საპროცესო ეკონომიის პრინციპის განხორციელება, რამდენადაც გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება ასევე მესამე პირებზეც“ (Prof. Dr. Wolff and Kintz, 2014).

გ. პროცესში მესამე პირის ჩართვის საპროცესო მიმდინარეობა

პროცესში მესამე პირის ჩართვა ხორციელდება სასამართლოს შესაბამისი განჩინების საფუძველზე, რომელიც უნდა ჩაბარდეს პროცესის ყველა მონაწილეს. „სასამართლო განჩინებას იღებს, როგორც წესი, ზეპირი მოსმენის გარეშე“ (Federal Republic of Germany; Administrative Procedure Act (VwVfG); 1976). „სასამართლოს განჩინება პროცესში ჩართვის თაობაზე არ საჩივრდება. პროცესში ჩართვაზე უარის თქმის შემთხვევაში, საპროცესო მხარეებს ან განმცხადებელ მესამე პირს შეუძლიათ წარადგინონ კერძო საჩივარი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 146-ე პარაგრაფის შესაბამისად“ (Federal Republic of Germany; Administrative Procedure Act (VwVfG); 1976).

საფრანგეთი

საფრანგეთის ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალში მესამე პირებს შეუძლიათ ჩაერთონ სამართალწარმოებაში ძირითადად ორი მექანიზმის მეშვეობით: „ნებაყოფლობითი ჩარევა და მესამე პირი - დამოუკიდებელი პოზიციით, იმ პირობით, რომ ისინი ადასტურებენ საქმეში საკმარის ინტერესს“ (French Republic; Code of Relations between the Public and the Administration (Code des relations entre le public et l'administration - CRPA) 2015).

მესამე პირები საფრანგეთის სამოქალაქო/ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით ისევე, როგორც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით ერთვებიან უკვე დაწყებულ პროცესში.

მესამე პირები, რომლებიც აცხადებენ დამოუკიდებელ სასარჩელო მოთხოვნას, როგორც წესი ითვლებიან მოსარჩელეებად და მათ გააჩნიათ ყველა ის უფლება, რაც აქვს მოსარჩელეს. მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგნის მიმართ. მესამე პირების მეორე სახე, რომელსაც მიეკუთვნებიან მესამე პირები დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, ისინი ფაქტობრივად გამოდიან მოსარჩელის ან მოპასუხის მხარეზე და მათ გააჩნიათ გარკვეული კანონიერი ინტერესი აღნიშნული დავის მიმართ.

მესამე პირები გამოირჩევიან პროცესის მონაწილეებისაგან იმით, რომ პროცესის დაწყება არ არის დამოკიდებელი მათ ნება-სურვილზე, პროცესის დასრულების შემდეგ წაგებულ მხარეს შეუძლია რეგრესის წესით მესამე პირს მოსთხოვოს გარკვეული ვალდებულების

შესრულება. „მესამე პირების ჩაბმა დასაშვებია როგორც სასამართლოს, ისე მხარეების ინიციატივით, როგორც პირველი, ისე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში“, თუმცა საკასაციო სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობისაგან განსხვავებით დასაშვებია მარტივი მიწვევის მესამე პირის ჩაბმა (Давтян; 2008).

დიდი ბრიტანეთი (UK)

დიდი ბრიტანეთის სასამართლო პრაქტიკის თანახმად, განხილვისას მესამე პირები, როგორც წესი, განიმარტებიან როგორც „დაინტერესებული მხარეები“ (IPs), რომლებიც უშუალოდ არიან დაინტერესებულნი და შეუძლიათ ჩაერთონ სამართალწარმოებაში. „დაინტერესებული მხარის გარდა, მესამე პირი მოიცავს სხვადასხვა სუბიექტებს, რომლებიც ფლობენ შესაბამის ინფორმაციას (ექსპერტები, სოციალური სამსახურები) ან ერთვებიან საზოგადოებრივი ინტერესებისთვის (საქველმოქმედო ორგანიზაციები), სადაც ყველა მათგანს აქვს მოსარჩელის/მოპასუხისგან განსხვავებული როლი“ (Freshfields Bruckhaus Deringer, 2016).

ამერიკის შეერთებული შტატები

მესამე პირები ზოგადად ცნობილია, როგორც „მესამე მხარე“, რომლებიც არ წარმოადგენენ დავის თავდაპირველ მხარეებს, მაგრამ შეიძლება მათზე გავლენა იქონიოს შედეგმა. „მათი ძირითადი სახეები კატეგორიზებულია საქმეში მათი ინტერესის მიხედვით“ (USA, Federal Act on Administrative Procedure (APA), 1946):

- **უფლების მქონე მხარეები:** ესენი არიან მესამე პირები, რომლებსაც აქვთ აშშ-ის კანონმდებლობით მინიჭებული უპირობო უფლება ჩარევაზე, ან რომლებიც აცხადებენ პირდაპირ ინტერესს, დავის საგანთან და რომელიც შეიძლება შეილახოს, თუ მათ არ მიეცემათ მონაწილეობის უფლება;
- **ნებადართული ჩარევები:** ამ მხარეების მონაწილეობა ადმინისტრაციული სამართლის მოსამართლის შეხედულებისამებრ ხდება. მოსამართლეს შეუძლია ჩააბას მხარე თუ მისი მონაწილეობა ხელს შეუწყობს საქმის სამართლიან გადაწყვეტას.
- **პირდაპირ რეგულირებადი მხარეები:** ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომელთა უფლებები, ვალდებულებები ან კანონიერი ინტერესები პირდაპირ განისაზღვრება სხვა პირის მიერ ინიცირებულ ადმინისტრაციულ პროცედურაში;
- **თანმხლები ზიანის მქონე პირები:** ფიზიკური ან იურიდიული პირები, რომლებსაც აქვთ მეორადი ან არაპირდაპირი ინტერესები, რომლებზეც შეიძლება გავლენა იქონიოს სასამართლოს გადაწყვეტილებამ, მაშინაც კი, თუ ისინი კონკრეტულად არ არიან დასახელებული საწყისი წარმოების ეტაპზე;
- **წარმომადგენლობითი მხარეები** (საზოგადოებრივი ინტერესების ჯგუფები): ასოციაციები ან არასამთავრობო ორგანიზაციები (მაგ., გარემოსდაცვითი ან

მომხმარებელთა ჯგუფები), რომლებსაც შეიძლება მიეცეთ უფლებამოსილება, ჩაერიონ ფართო საზოგადოებრივი ინტერესების წარმოსადგენად, იმ პირობით, რომ ისინი წარმოაჩენენ ლეგიტიმურ ინტერესს და მათი მონაწილეობა სასარგებლო იქნება სამართალწარმოებისთვის;

- **მტკიცებულებითი პროცედურის მონაწილე მესამე პირები:** ესენი არიან პირები, რომელთა დახმარებაც საჭიროა მტკიცებულებითი მიზნებისთვის, როგორიცაა მოწმეები და ექსპერტები, რომელთა, როგორც მესამე მხარის სტატუსი მნიშვნელოვანია სანდოობისთვის.

ამდენად, არაერთი ქვეყნის ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის ანალიზის შედეგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ როგორც კონტინენტური ევროპის, ისე ანგლოსაქსური სამართლებრივი სისტემის ქვეყნები ცნობენ და აღიარებენ მესამე პირის ინსტიტუტს და მის მნიშვნელობას. უმეტესად განასხვავებენ - დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნისა და სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირებს, ამასთან, გვხვდება სახელმწიფოები, რომლებიც აღიარებენ ე.წ. კანონისმიერი მესამე პირების ინსტიტუტსაც, რომლებიც ავტომატურად ერთვებიან მიმდინარე სამართალწარმოებაში, ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს მინიჭებული სხვადასხვა ტიპის ასოციაციების (გარემოსდაცვითი; ცხოველთა უფლებების დამცველი; პროფესიული ასოციაციები და ა.შ) საქმეში მესამე პირად ჩაბმას. ამასთან, განსხვავებულია, მესამე პირთა უფლებების არეალიც, რიგ შემთხვევებში მესამე პირთა უფლებები მხოლოდ ფორმალური ხასიათისაა და წერილობითი პოზიციის წარდგენითა და პროცესზე დასწრებით შემოიფარგლება, ხოლო უმეტეს სახელმწიფოებში მესამე პირები მათი უფლებრივი სტატუსით მხარეებს უთანაბრდებიან, მათ შორის, აქვთ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებამოსილება.

4.1.4. მესამე პირები ქართული ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა განასხვავებს ორი სახის მესამე პირს – ჩვეულებრივი მიწვევის და აუცილებელი (სავალდებულო) მიწვევის მესამე პირს.

სასამართლოში მესამე პირების ჩვეულებრივი მიწვევის წინაპირობაა ის, რომ სასამართლოს მოსალოდნელი გადაწყვეტილება შესაძლებელია, შეეხოს მიწვეული მესამე პირის სამართლებრივ ინტერესებს. არ არის სავალდებულო, რომ მესამე პირის უფლებებს ნამდვილად შეეხოს გადაწყვეტილება. საკმარისია, მესამე პირის მიწვევის დროს იყოს იმის ვარაუდი, რომ გადაწყვეტილებამ შეიძლება გავლენა იქონიოს მის სამართლებრივ ინტერესებზე. მესამე პირის მიწვევა არ შეიძლება წინასწარ იყოს ორიენტირებული გადაწყვეტილების შედეგზე. სამართლებრივი ინტერესი სახეზეა, თუ მისაწვევი მესამე პირი მოსარჩელესთან ან მოპასუხესთან ან/და ორივე მხარესთან ან მხოლოდ დავის საგანთან ისეთ

მიმართებაში იმყოფება, რომ მოსარჩელის ან მოპასუხის წაგებას შეუძლია, გააუმჯობესოს ან გააუარესოს მისი სამართლებრივი მდგომარეობა.

აუცილებელი, სავალდებულო ფორმით ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა ჩაბმის კლასიკური მაგალითია სასამართლოში სარჩელის განხილვა ორმაგი ზემოქმედების ძალის მქონე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით. კერძოდ, „როდესაც ერთი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ადრესატისათვის აღმჭურველია, ხოლო მესამე პირისათვის შემზღუდველი ხასიათის. ამ შემთხვევაში სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება უშუალოდ შეეხება მესამე პირის ინტერესსაც და მის მიმართაც მიღებულ იქნება გადაწყვეტილება, რაც საფუძველია სწორედ სავალდებულო ფორმით ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა ჩაბმისა“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტებები; 2010).

მაგალითად, ა. ბერძენიშვილმა იძულებით აუქციონზე შეიძინა ქ. თბილისში, საბურთალოს ქ. 8-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა. გ. ცერცვაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და ზემოაღნიშნული იძულებითი აუქციონის შედეგების ბათილად ცნობა მოითხოვა. ბუნებრივია ა. ბერძენიშვილი ადმინისტრაციული საქმის განხილვაში უნდა ჩაებას ,,სავალდებულო” მიწვევის მესამე პირად, ვინაიდან, სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეეხება არამარტო ცერცვაძის, არამედ ბერძენიშვილის სამართლებრივ ინტერესსა და უფლებებს.

„ამდენად, ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირის სავალდებულო ჩაბმის ფორმა სახეზეა, თუ მესამე პირი არის იმ სამართალურთიერთობის მონაწილე, რომლის მიმართაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირის მარტივი ჩაბმის დროს კი არსებითად გადამწყვეტია მესამე პირის სამართლებრივი ინტერესი, ხოლო რაც შეეხება აუცილებელ, სავალდებულო ჩაბმას, ამ დროს სამართლებრივ ინტერესთან ერთად მნიშვნელოვანია ის, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით მესამე პირის უფლებები და მოვალეობებიც შეიძლება განისაზღვროს“ (საქართველოს უზენაესი სასამართლო; 2010).

ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა მარტივი ჩაბმა სახეზეა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება შეიძლება მესამე პირთა ინტერესს შეეხოს.

მაგალითად, სოფელ პერევისას მცხოვრებლებს უარი ეთქვათ წყალშემკრები ავზის გარშემო სპეციალური ავზის მოწყობაზე, ექსპერტის მიერ გაცემული უარყოფითი დასკვნის საფუძველზე. სოფელ პერევისას მცხოვრებლებმა მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს

აღნიშნული აქტის ბათილად ცნობა. ამ შემთხვევაში საექსპერტო დასკვნის მიმცემი ორგანო საქმეში შეიძლება ჩაბმულ იქნეს მესამე პირად მარტივი ფორმით.

როგორც ჩვეულებრივი მიწვევის, ასევე სავალდებულო მიწვევის მესამე პირი ადმინისტრაციულ პროცესში შეიძლება ჩაებას: 1. სასამართლოს ინიციატივით; 2. თვითონ ამ პირის ინიციატივით; 3. მოსარჩელის ან მოპასუხის ინიციატივით. სასამართლო უფლებამოსილია და არა ვალდებული, ადმინისტრაციულ პროცესში ჩააბას ჩვეულებრივი მიწვევის მესამე პირი, ხოლო ვალდებულია, პროცესში ჩააბას სავალდებულო მიწვევის მესამე პირი.

თუ არსებობს სასამართლოში მესამე პირის სავალდებულო მიწვევის წინაპირობები და სასამართლო პროცესში არ ჩააბამს სავალდებულო მიწვევის მესამე პირს, მაშინ ეს შეიძლება გახდეს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების აბსოლუტური გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის უკან დაბრუნების საფუძველი.

მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდმა პალატამ 2009 წლის 28 ივლისს მიღებულ განჩინებაში საქმეზე №ბს-1537-1494(კ-08) აღნიშნა, რომ „სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა უხეში საპროცესო დარღვევით, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი იყო. სასამართლომ საქმეში არ ჩააბა სავალდებულო მიწვევის მესამე პირი, რომელიც იმ სადავო სამართალურთიერთობის მონაწილე იყო, რის თაობაზეც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანა იყო შესაძლებელი“ (საქართველოს უზენაესი სასამართლო; 2009).

დიდმა პალატამ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34[1] მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, „საკასაციო სასამართლოში ამ კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მესამე პირები შეიძლება მიწვეულ იქნენ მათივე თანხმობით, თუ ისინი სადავოდ არ ხდიან სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და წარადგენენ მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს“ (საქართველოს უზენაესი სასამართლო; 2009).

„დიდი პალატა აღნიშნული ნორმის შესაბამისად შეეცადა, მ. გ-ი საკასაციო ინსტანციაში საქმეში ჩაება სავალდებულო მიწვევის მესამე პირის სტატუსით და გაერკვია, ხდიდა თუ არა იგი სადავოდ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს. აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წერილით მ. გ-ს ეცნობა, რომ რადგან საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება შეიძლება შეხებოდა მის ინტერესებს, საკასაციო სასამართლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მის პროცესში ჩაბმას სავალდებულოდ მიიჩნევდა, რის გამოც ადმინისტრაციული საპროცესო

კოდექსის 34[1] მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე საჭირო იყო მისი თანხმობა. მ. გ-მ უარი განაცხადა საკასაციო ინსტანციის სასამართლოში საქმეში მესამე პირად ჩაბმაზე. ამდენად, დიდმა პალატამ მიიჩნია, რომ მოცემული საქმე მ. გ-ის სავალდებულო მიწვევის მესამე პირად ჩაბმის მიზნით სააპელაციო სასამართლოს უნდა დაბრუნებოდა“ (საქართველოს უზენაესი სასამართლო; 2009).

აქვე საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა სააპელაციო სასამართლოში სავალდებულო მიწვევის მესამე პირის ჩაბმასთან მიმართებაში. უზენაესმა სასამართლომ არაერთ გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ „სააპელაციო სასამართლოს აქვს უფლებამოსილება საქმის განხილვაში თავად ჩააბას მესამე პირი და აღნიშნული გარემოება საქმის პირველ ინსტანციაში დაბრუნების უპირობო საფუძველს არ წარმოადგენს“ (საქართველოს უზენაესი სასამართლო; 2021). აღნიშნული განმარტება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მხრიდან გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლიდან, რომლის თანახმადაც, სააპელაციო სასამართლოში, საქმის განხილვა მიმდინარეობს იმ წესების დაცვით, რომელიც გათვალისწინებულია პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის, კერძოდ, „სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, საქმე განიხილოს არსებითად, გამოიკვლიოს და დაადგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და საქმეს მისცეს სამართლებრივი შეფასება“ (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი; 1997). „მართალია, სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილია, საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნოს პირველი ინსტანციის სასამართლოს, თუმცა მას ასევე შეუძლია არ გადააგზავნოს საქმე უკან და თვითონ გადაწყვიტოს იგი, ანუ არსებითად განიხილოს საქმე და მიიღოს მასზე გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლოს უფლებამოსილება, თვითონ, პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის საქმის დაბრუნების გარეშე, გადაწყვიტოს საქმე, ემყარება საპროცესო ეკონომიის პრინციპს. სააპელაციო სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაშია უფლებამოსილი დაუბრუნოს საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოს ხელახლა განსახილველად, როდესაც მას თვითონ არ შეუძლია სრულყოფილად გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები ან როდესაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება იმდენად დაუსაბუთებელია, რომ სააპელაციო სასამართლო ვერ შეამოწმებს მას ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით, ანუ ობიექტურად უნდა არსებობდეს სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის უკან გადაგზავნის სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი”(საქართველოს უზენაესი სასამართლო; 2021).

ამდენად, ნათელია, რომ პროცესის ეკონომიურობისა და საკასაციო/სააპელაციო სასამართლოს პროცესუალური კომპეტენციის თავისებურებების გათვალისწინებით, სავალდებულო მიწვევის მესამე პირის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ პროცესში ჩაუბმელობა არ არის სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის პირველი ინსტანციის

სასამართლოში დაბრუნების ავტომატური საფუძველი. რაც შეეხება, საკასაციო სასამართლოს, ვინაიდან, საკასაციო სასამართლო არ არის ახალი ფაქტების დამდგენი სასამართლო, სავალდებულო მიწვევის მესამე პირის მიერ კასაციის ეტაპზე ჩაბმაზე თანხმობის განუცხადებლობა წარმოადგენს საქმის სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების აბსოლუტურ საფუძველს.

აქვე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ ეტაპზე საკმაოდ მდიდარია სასამართლო პრაქტიკა მესამე პირის სამართალწარმოებაში ჩაბმის პროცედურისა და ეტაპების განმარტების მიმართულებითა და ერთგვაროვანი პრაქტიკის თვალსაზრისით.

4.1.5. მესამე პირთა უფლებები

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-5 ნაწილი მიუთითებს, რომ „ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული მესამე პირი სარგებლობს მოსარჩელის (მოპასუხის) ყველა უფლებით და მასვე ეკისრება მოსარჩელის (მოპასუხის) ყველა მოვალეობა“ (საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი; 1999). ამდენად, სავალდებულო მიწვევის მესამე პირი სარგებლობს მხარის ყველა უფლებით, მათ შორის, უფლება აქვს, გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) ზემდგომ სასამართლოებში, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ მხარეთა შორის მორიგების დამტკიცების შემთხვევაში აუცილებელია მისი თანხმობა. მიუხედავად ამისა, მას მხარის ყველა უფლება არ შეიძლება მიენიჭოს, ანუ სავალდებულო მიწვევის მესამე პირს არა აქვს უფლება, დამოუკიდებლად განახორციელოს ისეთი საპროცესო მოქმედებები, რაც დაკავშირებულია პროცესის დასრულებასთან. ასევე დაუშვებელია სავალდებულო მიწვევის მესამე პირს მოპასუხის ნაცვლად დაეკისროს რაიმე ვალდებულების შესრულება. „სასამართლოს გადაწყვეტილება უშუალოდ მის მიმართ ვერ იქნება გამოტანილი, ვინაიდან, ის მოპასუხე არ არის და არ შეიძლება სამართლებრივად პასუხი აგოს მოპასუხის ნაცვლად“ (საქართველოს უზენაესი სასამართლო; 2010).

რაც შეეხება ჩვეულებრივ მიწვევის მესამე პირებს, ისინი სავალდებულო მიწვევის მესამე პირების მსგავსი უფლებებით არ სარგებლობენ. მათ უფლება აქვთ მხოლოდ მონაწილეობა მიიღონ საქმის განხილვაში, გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები და განახორციელონ პროცესში მონაწილეობისათვის აუცილებელი სამართლებრივი მოქმედებები.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ ,,ჩვეულებრივი” მიწვევის მესამე პირს არ გააჩნია სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრების უფლება, რაც არასწორია, ვინაიდან, აღნიშნული გადაწყვეტილება შეიძლება პრეიუდიციული ძალის მქონე იყოს მის

მიმართ, რაც თავის მხრივ გაზრდის სამომავლოდ, მისი როგორც მოპასუხის უფლებების შეზღუდვის რისკს და გამოიწვევს შეჯიბრებითობის პრინციპის დარღვევას.

მაგალითად, საკასაციო სასამართლოს მიერ განხილულ იქნა ჩვეულებრივი მიწვევის პირის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 364-ე მუხლის თანახმად, „სასამართლოს პირველი ინსტანციით გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებმა და მესამე პირებმა დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით შეიძლება გაასაჩივრონ კანონით დადგენილი წესით"(საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი; 1997). „მითითებული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ კანონმდებელი განსაზღვრავს რა სააპელაციო საჩივრის შეტანაზე უფლებამოსილ პირთა წრეს, აღნიშნულ შესაძლებლობას აძლევს პირებს, რომელთა კანონიერ ინტერესებსაც უშუალოდ ეხება გასაჩივრებული გადაწყვეტილება" (საქართველოს უზენაესი სასამართლო; 2023).

საკასაციო პალატამ განმარტა, რომ „საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლი და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი ქმნის სამართლიანი სასამართლოს სამართლებრივ გარანტიას, რომელიც მოიაზრებს ყველა იმ სამართლებრივ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სასამართლო წესით სრულყოფილი და ეფექტური დაცვის შესაძლებლობას. სამართლიანი სასამართლოს კონსტიტუციური უფლება თავისი არსით ინსტრუმენტული უფლებაა, რომელიც ქმნის კონსტიტუციითა და კონვენციით რეგლამენტირებული სხვა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის კონსტიტუციურ გარანტიას, ასევე, წარმოადგენს ხელისუფლების შტოებს შორის შეკავებისა და გაწონასწორების არქიტექტურის უმნიშვნელოვანეს ნაწილს" (საქართველოს უზენაესი სასამართლო; 2023).

აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს სასამართლოს ქმედითი ხელმისაწვდომობის უფლება, რაც მოიცავს, სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების გზით უფლების სრულყოფილად დაცვის შესაძლებლობასაც. სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების შეუძლებლობის პირობებში, სასამართლოსათვის მიმართვა ვერ იქნება სრულყოფილი უფლებადაცვითი საშუალება. ამდენად, სამართლიანი სასამართლოს უფლება პირს აღჭურავს ერთი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების და გადასინჯვის კონსტიტუციური უფლებით. (საქართველოს უზენაესი სასამართლო; 2023).

ამდენად, ცალსახაა, რომ დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირის მსგავსად, ,,ჩვეულებრივი" მიწვევის მესამე პირის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრების შესაძლებლობა ერთმნიშვნელოვნად არ უნდა იყოს

შეზღუდული და ზემდგომმა ინსტანციის სასამართლომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავად უნდა განსაზღვროს გასაჩივრების უფლებამოსილების საკითხი, რასაც სასამართლო პრაქტიკაში საკმაოდ ხშირად აქვს ადგილი, თუმცა კანონმდებლობა მსგავს პირდაპირ დათქმას არ შეიცავს. აღსანიშნავია, რომ მესამე პირთა მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება გარანტირებულია როგორც ევროპული ქვეყნების უმრავლესობის საპროცესო კანონმდებლობის, ისე მაგალითად აშშ-ის მარეგულირებელი აქტების მიხედვით.

4.1.6. სარჩელის უზრუნველყოფა და მესამე პირები

ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია განისაზღვროს შესაძლებელია თუ არა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მესამე პირების მიმართ.

დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ ,,ჩვეულებრივი" მიწვევის მესამე პირის მიმართ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დაუშვებელია, საინტერესოა შესაძლებელია კი ეს ,,სავალდებულო" მიწვევის მესამე პირის მიმართ?

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „მოსარჩელეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას და შესაბამის დასაბუთებას, თუ უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გატარება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად" (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი; 1997).

სარჩელის უზრუნველყოფის სამოქალაქო-საპროცესო ინსტიტუტი თავისი არსით წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ხელშეწყობის მნიშვნელოვან სამართლებრივ საშუალებას, რომლის გამოყენებაც დაიშვება მხოლოდ მოსარჩელის განცხადების საფუძველზე და ამასთან, მხოლოდ მოპასუხის მიმართ, იმ მიზნით, რომ მოხდეს მოპასუხის მიერ თავისი ქონების განკარგვის უფლების შეზღუდვა, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების წარმდგენი მოსარჩელის მიზანს, საბოლოო ჯამში, წარმოადგენს მოპასუხის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება და მისი დაუბრკოლებელი აღსრულების უზრუნველყოფა. ამდენად, „აღნიშნული საპროცესო ინსტიტუტის გამოყენება შეუძლებელია მესამე პირის მიმართ, ვინაიდან სასამართლო გადაწყვეტილებით დაუშვებელია მესამე პირისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ რაიმე ვალდებულების დაკისრება" (საქართველოს უზენაესი სასამართლო; 2006; 2019).

თუმცა აქვე საინტერესოა შემთხვევა, როდესაც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია მესამე პირთა მიმართ უზრუნველყოფის გამოყენების შესაძლებლობა, კერძოდ, სასამართლომ განმარტა, რომ „საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან და

სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება აუცილებელი და გარდაუვალი იყო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების ჯეროვნად აღსასრულებლად“ (საქართველოს უზენაესი სასამართლო; 2022).

ამდენად, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა არ არის მყარად დადგენილი და საგამონაკლისო შემთხვევებში, გადაწყვეტილების სათანადოდ აღსრულების მიზნებიდან გამომდინარე, დასაშვებად მიიჩნევს მესამე პირთან მიმართებაში უზრუნველყოფის ღონისძიების გავრცელებასაც, რაც აბსოლუტურად სწორია, ვინაიდან, თითოეული საქმის განხილვისას ამოსავალი წერტილი სწორედ პირის შესაბამისი უფლების სათანადო დაცვა და შემდგომ მისი რეალიზების შესაძლებლობა წარმოადგენს.

ამასთან, ცალსახაა, რომ მართალია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხი არსებული სასამართლო პრაქტიკით რეგულირდება, თუმცა მისი პირდაპირი სამართლებრივი რეგლამენტირება ამ ეტაპზე საპროცესო კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული.

4.2. სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის მესამე პირების შედარება

საინტერესოა განვიხილოთ, თუ რა განმასხვავებელი ნიშნები არსებობს სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის მესამე პირებს შორის:

- „პირველი არსებითი განმასხვავებელი ნიშანი, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საპროცესო სამართლის მესამე პირებს შორის გამომდინარეობს ინკვიზიციურობის პრინციპიდან და ეხება სასამართლოს მიერ საქმეში მესამე პირების ჩაბმის საკითხს. სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიხედვით სასამართლო არ არის უფლებამოსილი საქმეში საკუთარი ინიციატივით ჩააბას მესამე პირი, მაშინ როდესაც ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლო არამარტო უფლებამოსილი, არამედ ვალდებულიცაა მესამე პირად მოიწვიოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული პირი. ამასთან, საგულისხმოა ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ ,,სავალდებულო” მიწვევის მესამე პირის საქმეში ჩაუბმელობა შეიძლება გახდეს ზემდგომი სასამართლოს მიერ აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი“ (Tsintsadze; 2017).

- „მეორე არსებითად განმასხვავებელი ნიშანი სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის მესამე პირებს შორის არის მესამე პირთა სახეები. სამოქალაქო საპროცესო სამართალი ცნობს ორი სახის მესამე პირებს: 1) მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით და 2) მესამე პირებს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე, ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი კი განასხვავებს ,,ჩვეულებრივი” და

,,სავალდებულო" მიწვევის მესამე პირებს. ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ,,ჩვეულებრივი" მიწვევის მესამე პირი მისი სტატუსიდან გამომდინარე, ფაქტობრივად წარმოადგენს ,,მესამე პირს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე". რაც შეეხება ,,სავალდებულო" მიწვევის მესამე პირს, იგი სამოქალაქო საპროცესო სამართალში საერთოდ არ გვხდება, ვინაიდან, აღნიშნული მესამე პირი მისი სტატუსიდან გამომდინარე აბსოლუტურად განსხვავდება ,,მესამე პირისაგან დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით". ,,სავალდებულო" მიწვევის მესამე პირი სსსკ-ის 88-ე მუხლით გათვალისწინებული მესამე პირისაგან განსხვავებით, არ აცხადებს დამოუკიდებელ მოთხოვნას დავის საგანზე, მას არ ჰყავს მოპასუხე და იგი პროცესში ერთვება მხოლოდ მისი კანონიერი უფლების და ინტერესის სრულყოფილად დაცვის მიზნით. თუმცა, მას გააჩნია მოსარჩელის-მოპასუხის ყველა უფლება და ეკისრება მოსარჩელის ყველა მოვალეობა" (Tsintsadze; 2017).

- საყურადღებოა ასევე ის გარემოება, რომ „სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალს შორის არსებობს განსხვავება მესამე პირის ჩაბმის ან ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ განჩინების გასაჩივრების კუთხით. სასკ-ის მე-16 მუხლის მე-2[1] ნაწილის თანახმად, მესამე პირის საქმეში ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ განჩინებაზე შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა, ხოლო ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლოს განჩინება პირის მესამე პირად საქმეში ჩაბმის შესახებ არ გასაჩივრდება, აღნიშნული განჩინების გასაჩივრება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირის მიერ, რომელიც საქმეში ჩაება ,,სავალდებულო" მიწვევის მესამე პირად. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა კი სრულიად განსხვავებულად აწესრიგებს აღნიშნულ საკითხს. კანონმდებელი განსაზღვრავს, რომ მესამე პირად ჩაბმაზე უარის თქმის შესახებ განჩინება საჩივრდება მხოლოდ საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად (სსსკ-ის 90-ე მუხლის მე-2 ნაწილი), ხოლო მესამე პირად ჩაბმის შესახებ განჩინების გასაჩივრების შესაძლებლობას სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა საერთოდ არ ითვალისწინებს" (Tsintsadze; 2017).

- სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საპროცესო სამართალს ერთმანეთისაგან ასევე განასხვავებს მესამე პირების საქმეში ჩაბმის სტადიები. „სამოქალაქო პროცესის მიხედვით მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით საქმეში შეიძლება ჩაებას მხარეთა პაექრობის დაწყებამდე ან სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე, სხვა შემთხვევაში მან სარჩელი საერთო სასარჩელო წესით უნდა წარადგინოს. რაც შეეხება მესამე პირს დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე იგი შესაძლებელია საქმეში ჩაებას სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანამდე, თუმცა საქართველოს კანონმდებლობა არ გამორიცხავს სააპელაციო სასამართლოში მისი ჩაბმის შესაძლებლობას. ადმინისტრაციულ პროცესში მესამე პირთა ჩაბმის საკითხი განსხვავებულად არის მოწესრიგებული. ,,ჩვეულებრივი" მიწვევის მესამე პირი პროცესში

შეიძლება ჩაებას მთავარი სხდომის დასრულებამდე, თუმცა ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა არ გამორიცხავს სააპელაციო სასამართლოში მისი ჩაბმის შესაძლებლობას. საგულისხმოა ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობისაგან განსხვავებით, უშვებს საკასაციო სასამართლოში ,,სავალდებულო" მიწვევის მესამე პირების ჩაბმის შესაძლებლობას, მათივე თანხმობით, თუ ისინი სადავოდ არ ხდიან სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და წარადგენენ მხოლოდ სამართლებრივ მოსაზრებებს (სასკ-ის 34[1] მუხლის მე-2 ნაწილი)" (Tsintsadze; 2017).

5. დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მესამე პირი არის ადმინისტრაციული სამართალწარმოების უნიკალური მონაწილე, თუმცა მისი პროცესუალური უფლებები მოქმედი კანონმდებლობით სრულყოფილად არ არის რეგულირებული და აღნიშნული სწორედ სასამართლო პრაქტიკით რეგულირდება. ამდენად, შეჯამების სახით წარმოდგენილია მესამე პირთან მიმართებაში კვლევის შედეგად გამოვლენილი რამდენიმე პროცესუალური ხარვეზი და მის გადასაჭრელად შემოთავაზებული შესაბამისი რეკომენდაციები, კერძოდ:

1) უფლებამოსილია თუ არა ,,ჩვეულებრივი" მიწვევის მესამე პირი გაასაჩივროს ადმინისტრაციული სასამართლოს გადაწყვეტილება (როდესაც აღნიშნული გადაწყვეტილება მის კანონიერ ინტერესს შესაძლოა შეეხოს)?

ცალსახაა, რომ დღეს არსებული საპროცესო ნორმა პრაქტიკაში ვერ ახდენს მესამე პირის უფლების სრულყოფილად დაცვას და აღნიშნული საკითხი ამ ეტაპზეც სასამართლო პრაქტიკით რეგულირდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია რომ აღნიშნული საკითხი მოწესრიგდეს შესაბამისი საპროცესო კანონმდებლობით, რათა გასაჩივრების უფლების შეფასება მხოლოდ სასამართლოს დისკრეციის სფეროს არ მიეკუთვნებოდეს. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არაერთი ევროპული ქვეყნის (შვეიცარია, ლატვია, ფინეთი) ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, ისევე როგორც აშშ-ს შესაბამისი მარეგულირებელი აქტების თანახმად, სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება აქვს მესამე პირს, რომელსაც შესაძლოა პირდაპირ ან ირიბად შეეხოს გადაწყვეტილება.

2) წარმოადგენს თუ არა სავალდებულო მიწვევის მესამე პირის პროცესში ჩაუბმელობა გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს?

სავალდებულო მიწვევის მესამე პირის საქმეში მიუწვევლობა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმების ცალსახა საფუძველს სასამართლო მყარად

დადგენილი პრაქტიკით წარმოადგენს, თუმცა აღნიშნული გარემოების საკანონმდებლო დონეზე რეგულირებისათვის საჭიროა საპროცესო კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილების შეტანა, კერძოდ, შესაბამის ნორმაში გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძვლად უნდა მიეთითოს არა მხოლოდ მხარეთა, არამედ სავალდებულოა წესით ჩასაბმელ მესამე პირთა მიუწვევლობაც, რაც ავტომატურად გამოასწორებს არსებულ ხარვეზს.

3) დასაშვებია თუ არა უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება მესამე პირის მიმართ?

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა არ არის მყარად დადგენილი. როგორც წესი მესამე პირის მიმართ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დაუშვებლად მიიჩნევა, გარდა მკვეთრად გამოხატული საგამონაკლისო ფაქტობრივი მოცემულობისა, რაც აბსოლუტურად გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლიდან. ამდენად, აღნიშნული საკითხის რეგულირება კვლავ სასამართლოს დისკრეციის ფარგლებში უნდა დარჩეს, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა იმგვარად არის რეგულირებული, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებები თავისი შინაარსით ფორმალურად მხოლოდ მოპასუხეს მიემართება.

ზემოაღნიშნული სამი ხარვეზი წარმოადგენს მესამე პირებთან მიმართებაში კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების არასრულ ჩამონათვალს, თუმცა მათი სრულყოფა არსებითად მნიშვნელოვანია მესამე პირთა პროცესუალური უფლებების ჯეროვნად დასაცავად.

ბიბლიოგრაფიული წყაროები

სამეცნიერო ლიტერატურა:

1. ვაჩაძე მ. თოდრია ი. ტურავა პ. წკეპლაძე ნ. 2005. *საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი.* თბილისი. GTZ , გამომცემლობა ,,დიოგენე";
2. კოპალეიშვილი მ. სხირტლაძე ნ. ქარდავა ნ. ტურავა პ. 2008. *ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო.* თბილისი. გამომცემლობა ,,სიესტა";
3. ლილუაშვილი თ. ლილუაშვილი გ. ხრუსტალი ვ. ძლიერიშვილი ზ.; 2014 წელი; *სამოქალაქო საპროცესო სამართალი,* პირველი ნაწილი, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი";
4. ლილუაშვილი თ. ლილუაშვილი გ. ხრუსტალი ვ. ძლიერიშვილი ზ.; 2023 წელი; *საქართველოს საპროცესო სამართალი*; მეორე ნაწილი; თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი";
5. *პროფესორ თენგიზ ლილუაშვილის 75 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული*; 2003 წელი; გამომცემლობა ,,ჯისიაი";
6. ჟურნალი ,,მართლმსაჯულება და კანონი" 2005. *ინკვიზიციის პრინციპის თავისებურებანი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში.* № 5(7)05. თბილისი;
7. ჟურნალი ,,მართლმსაჯულება და კანონი" 2011. *დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე მესამე პირი სამოქალაქო სამართალწარმოებაში.* №1(28)11. თბილისი;
8. ჟურნალი „აკადემიური მაცნე"; 2015. ცინცაძე ქ.; *მხარეთა უფლებები კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობასა და საქმის წარმოების განახლებასთან დაკავშირებით*; 4;
9. Брэбан Г. 1988, ,,*ФРАНЦУЗСКОЕ АДМИНИСТРАТИВНОЕ ПРАВО*"; Москва;
10. Давтян А. Г.; 2008; *Гражданкий процесс зарубежних стран Учебние пособиею Под редакцие*; Москва; Проспект;
11. Prof. Dr. Czybulka D., Prof. Dr. Sodan H./Prof. Dr Ziekow J., 2018, *Big Commentary on the Code of Administrative Procedure*; Verlag C.H.Beck GmbH & Co;
12. Freshfields Bruckhaus Deringer 2016; *To Assist the Court: Third Party Interventions in the Public Interest*;
13. F.O, Prof. Schenke W.R.; 2005, *Kommentar zur Verwaltungsgerichtsordnung; Verlag C.H. Beck*; Munchen;
14. Tsintsadze K.; *The Third Person Institute and Brief Review of the Gaps in the Administrative and Civil Procedural Law of Georgia Regarding This Institute*; European Scientific Journal; Edition Vol 13, №28,2017;
15. Prof. Dr. Wolff H. A., Kintz R; 2014, *Beck's Online Commentary on the Code of Administrative Procedure*; Verlag C.H. Beck München

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კონსტიტუცია; საქართველოს პარლამენტი 1995; საკანონმდებლო მაცნე №786 (გადამოწმებული 01.11.25);
2. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. საქართველოს პარლამენტი 1997; საკანონმდებლო მაცნე №1106-ს (გადამოწმებული 01.11.25);
3. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი. საქართველოს პარლამენტი 1999; საკანონმდებლო მაცნე №352-რს (გადამოწმებული 01.11.2025);
4. საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონი; საქართველოს პარლამენტი 2009; საკანონმდებლო მაცნე №41 (გადამოწმებული 01.11.25);
5. Administrative Procedure Act (VwVfG); Federal Republic of Germany; 1976 ;
6. Code of Relations between the Public and the Administration (Code des relations entre le public et l'administration - CRPA); French Republic; 2015 (Decree No. 2015-1342);
7. Federal Act on Administrative Procedure (APA), USA ;1946

სასამართლო პრაქტიკა:

1. საქართველოს უზენაესი სასამართლო 2010. პრაქტიკული რეკომენდაციები ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის საკითხებზე მაგისტრატი მოსამართლისათვის. თბილისი;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლო 2011. საქართველოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა რეგულარული შეხვედრების შედეგად სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სფეროში შემუშავებული რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა. თბილისი;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლო 2005. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე. წიგნი 12, თბილისი.;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლო. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2009 წლის 28 ივლისის №1537-1499(კ-08) განჩინება; www.supremecourt.ge;
5. საქართველოს უზენაესი სასამართლო. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2005 წლის 29 სექტემბერის №ბს-416-6(3კ-05) განჩინება; www.supremecourt.ge;
6. საქართველოს უზენაესი სასამართლო. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2006 წლის 1 ნოემბრის №ბს-573-541(კს-06) განჩინება; www.supremecourt.ge;

7. საქართველოს უზენაესი სასამართლო. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2007 წლის 28 მაისის №ას-323-676-07 განჩინება; www.supremecourt.ge;
8. საქართველოს უზენაესი სასამართლო. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2021 წლის 25 ნოემბრის №ბს-1224(კ-19) განჩინება; www.supremecourt.ge;
9. საქართველოს უზენაესი სასამართლო. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2023 წლის 16 მარტის №ბს-1508(კს-22) განჩინება; www.supremecourt.ge;
10. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ადმინისტრაციული სასამართლო, 1982, Neue Juristische Zeitschrift 1982,
11. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ადმინისტრაციული სასამართლო, ბეკის სამართლებრივი საქმეები 2005, 24415;
12. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ადმინისტრაციული სასამართლო, ბეკის სამართლებრივი საქმეები 2006, 27430.